ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბესიკ ხამაშურიძის

2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის

ოქმი #2

შეხვედრის დრო: 2023 წლის 17 ოქტომბერი. 17:00 სთ.

შეხვედრის ადგილი: ქუთაისის კ. გამსახურდიას N65

„აია არენას“ შენობა

მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრას უძღვებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის, საკრებულოს წევრი ბესიკ ხამშურიძე

შეხვედრას ესწრებოდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის „სულხან-საბას” და „ვაკისუბნის” ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე მცხოვრები ამომრჩევლები (50 მოქალაქე), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი ბატონი, ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ქართული ოცნების თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ამირან კოპალეიშვილი, მერის წარმომადგენელი სულხან-საბას ადმინისტრაციულ ერთეულში, ბატონი რობერტ ბუღაძე, მერის წარმომადგენელი „ვაკისუბნის“ ადმინისტრაციულ ერთეულში, ბატონი აკაკი გიორგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თეონა მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ქალბატონი ლიკა ჩახუნაშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბესიკ ხამაშურიძემ შეხვედრაზე ისაუბრა მიმდინარე წელს წარმომადგენლობით ორგანოში გაწეული მუშაობის შესახებ.

ქუთაისის წარმომადგენლობით ორგანოში ჩემი საქმიანობა 2021 წლის დეკემბრიდან იწყება და დღემდე გრძელდება. საკრებულოში კომისიურ ფორმატში ჩემი მუშაობა დაკავშირებულია ორ კომისიასთან, ესენია "განათლების კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის კომისია" და "ეკონომიკის ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია". კოლეგებთან ერთად განვიხილავთ ყველა იმ საკითხს და პროექტს რომლეიც ჩვენი ქალაქისთვის პრიორიტეტულია

მიმდინარე წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით მოწესრიგდა რამდენიმე სასპორტო სკოლა. ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად ბავშვებს საშუალება აქვთ თანამედროვე სტანდარტების შესაბამის საპორტო დარბაზებში ივარჯიშო.

მიმდინარე წლის წარმატებული პროექტია ქუთაისის ოლიმპიური აუზის მშენებლობა. თანამედროვე, ოლიმპიური სტანდარტის საცურაო აუზის სიგრძე 50 მეტრს, ხოლო სიგანე 25 მეტრს შეადგენს. მოეწყო მცირე საბავშვო აუზი, სავარჯიშო დარბაზები და გასახდელები. ოლიმპიური აუზის შენობა აღჭურვილია თანამედროვე საინჟინრო ქსელებით, საფილტრაციო და სატუმბი სადგურებით, გათბობის, გაგრილების და სახანძრო სისტემებით. აუზის გარე ტერიტორიაზე მოეწყო პარკინგი და გარე კაფე. ასევე მნიშვნელობანია საფეხბურთო აკადემიის ფუნქციონირება, სადაც უკვე ათეულობით მომავალი ფეხბურთელი გადის სწავლებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ პროექტებს შორის მინდა გამოვყო შშმ პირთა ტურნირებში მონაწილეობის მხარდაჭერის პროგრამა, რომლისთვისაც მიმდინარე წელს 16 370 ლარი გაიხარჯა. მ/წლის 16 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 60 შშმ სტატუსის მქონე პირის - ქალის და კაცის, ასევე, სამშვიდობო მისიებში დაჭრილი ჯარისკაცებისა და ომის ვეტერანების ჩართულობა სპორტულ-კულტურულ აქტივობებში, პროფესიონალი ინსტრუქტორებისა და პერსონალური ასისტენტების დახმარებით, უზრუნველყო ორგანიზაცია „ახალგაზრდული მედია-კავშირმა“

მიმდინარე წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტმა, საქართველოს პარლამენტთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარაჭერით შეიმუშავა სპორტის განვითარების კონცეფცია. ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს სპორტის იმგვარი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც ემსახურება ინკლუზიური ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას, მის კეთილდღეობასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. კონცეფციის სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები განისაზღვრა დაინტერესებულ მხარეებთან გამართული

კონსულტაციების, ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების, აგრეთვე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თითმმართველობის მონაწილეობით გამართული სამუშაო შეხვედრების შედეგების გათვალისწინებით. ქალაქ ქუთაისის სპორტის პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის სიღრმისეული ანალიზი, საბაზისო მონაცემები, პოლიტიკის სუსტი და ძლიერი მხარეები, რისკები და შესაძლებლობები, აგრეთვე პოლიტიკის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები წარმოდგენილია 2023 წელს მომზადებული კვლევის ანგარიშში „ქუთაისის სპორტის პოლიტიკის ანალიზი".

საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა 20 სექტემბერს გამართული ახალგაზრდული ფესტივალი, რომელიც ყველა იმ კომპონენტის ჩართულობას გულისხმობადა, რაც ახალგაზრდებს გაუზრდის ინფორმირებულობას განივითარეს დასაქმების/შემეცნების/გართობის შესაძლებლობებს ლოკალურ დონეზე. ფესტივალის ფარგლებში გარდა სხვადასხვა ღონისძიებისა, ჩატარდა კონცერტი მუსიკალური ბენდების მონაწილეობით, მაყურებელთა რიცხვმა დაახლოებით შეადგინა 10 000, ფესტივალში ჩართული იყო 120 ქუთაისელი მოხალისე. ფესტივალისთვის გამოყოფილა თანხა შეადგენს 20 000 ლარს.

,,ქუთაისქალაქობა 2023'' ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა აქტივობები, კონცერტები, საერთაშორისო ტურისტული ბაზრობა, თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი ,,ქარავან არტ ფორუმი ქუთაისი 2023" მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული მხატვრების, ფოტოხელოვანების, ხელოვნებათმცოდნეების და კურატორების მონაწილეობით (საქართველო, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, პოლონეთი, ესტონეთი, ლიტვა, უკრაინა და საბერძნეთი).

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

ბესიკ ხამაშურიძე - 3.10.24

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბესიკ ხამაშურიძის ანგარიში

ქუთაისის წარმომადგენლობით ორგანოში ჩემი საქმიანობა 2021 წლის დეკემბრიდან იწყება და დღემდე გრძელდება. საკრებულოში კომისიურ ფორმატში ჩემი მუშაობა დაკავშირებულია ორ კომისიასთან, ესენია "განათლების კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის კომისია" და "ეკონომიკის ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია". კოლეგებთან ერთად განვიხილავთ ყველა იმ საკითხს და პროექტს რომლეიც ჩვენი ქალაქისთვის პრიორიტეტულია.

მიმდინარე წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით მოწესრიგდა რამდენიმე სასპორტო სკოლა. ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად ბავშვებს საშუალება აქვთ თანამედროვე სტანდარტების შესაბამის საპორტო დარბაზებში ივარჯიშო.

მიმდინარე წლის წარმატებული პროექტია ქუთაისის ოლიმპიური აუზის მშენებლობა. თანამედროვე, ოლიმპიური სტანდარტის საცურაო აუზის სიგრძე 50 მეტრს, ხოლო სიგანე 25 მეტრს შეადგენს. მოეწყო მცირე საბავშვო აუზი, სავარჯიშო დარბაზები და გასახდელები. ოლიმპიური აუზის შენობა აღჭურვილია თანამედროვე საინჟინრო ქსელებით, საფილტრაციო და სატუმბი სადგურებით, გათბობის, გაგრილების და სახანძრო სისტემებით. აუზის გარე ტერიტორიაზე მოეწყო პარკინგი და გარე კაფე.

ასევე მნიშვნელობანია საფეხბურთო აკადემიის ფუნქციონირება, სადაც უკვე ათეულობით მომავალი ფეხბურთელი გადის სწავლებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ პროექტებს შორის მინდა გამოვყო შშმ პირთა ტურნირებში მონაწილეობის მხარდაჭერის პროგრამა, რომლისთვისაც მიმდინარე წელს 16 370 ლარი გაიხარჯა. მ/წლის 16 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 60 შშმ სტატუსის მქონე პირის - ქალის და კაცის, ასევე, სამშვიდობო მისიებში დაჭრილი ჯარისკაცებისა და ომის ვეტერანების ჩართულობა სპორტულ-კულტურულ აქტივობებში, პროფესიონალი ინსტრუქტორებისა და პერსონალური ასისტენტების დახმარებით, უზრუნველყო ორგანიზაცია „ახალგაზრდული მედია-კავშირმა“

მიმდინარე წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტმა, საქართველოს პარლამენტთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარაჭერით შეიმუშავა სპორტის განვითარების კონცეფცია. ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს სპორტის იმგვარი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც ემსახურება ინკლუზიური ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას, მის კეთილდღეობასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. კონცეფციის სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები განისაზღვრა დაინტერესებულ მხარეებთან გამართული

კონსულტაციების, ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების, აგრეთვე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თითმმართველობის მონაწილეობით გამართული სამუშაო შეხვედრების შედეგების გათვალისწინებით. ქალაქ ქუთაისის სპორტის პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის სიღრმისეული ანალიზი, საბაზისო მონაცემები, პოლიტიკის სუსტი და ძლიერი მხარეები, რისკები და შესაძლებლობები, აგრეთვე პოლიტიკის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები წარმოდგენილია 2023 წელს მომზადებული კვლევის ანგარიშში „ქუთაისის სპორტის პოლიტიკის ანალიზი".

საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა 20 სექტემბერს გამართული ახალგაზრდული ფესტივალი, რომელიც ყველა იმ კომპონენტის ჩართულობას გულისხმობადა, რაც ახალგაზრდებს გაუზრდის ინფორმირებულობას განივითარეს დასაქმების/შემეცნების/გართობის შესაძლებლობებს ლოკალურ დონეზე. ფესტივალის ფარგლებში გარდა სხვადასხვა ღონისძიებისა, ჩატარდა კონცერტი მუსიკალური ბენდების მონაწილეობით, მაყურებელთა რიცხვმა დაახლოებით შეადგინა 10 000, ფესტივალში ჩართული იყო 120 ქუთაისელი მოხალისე. ფესტივალისთვის გამოყოფილა თანხა შეადგენს 20 000 ლარს.

,,ქუთაისქალაქობა 2023'' ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა აქტივობები, კონცერტები, საერთაშორისო ტურისტული ბაზრობა, თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი ,,ქარავან არტ ფორუმი ქუთაისი 2023" მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული მხატვრების, ფოტოხელოვანების, ხელოვნებათმცოდნეების და კურატორების მონაწილეობით (საქართველო, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, პოლონეთი, ესტონეთი, ლიტვა, უკრაინა და საბერძნეთი).

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

ბესიკ ხამაშურიძე - 3.10.23